

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და აღნიშნა, რომ სააპელაციო ინსტანციამ არასწორად განმარტა სკ-ის 1240-ე მუხლის შინაარსი და ხაზი გაუსვა მოსარჩელის სრულწლოვანებაზე - იგი შვილად იყო მიღებული არასრულწლოვნების პერიოდში და შემდგომ აღმზრდელი დედ-მამის ოჯახში მიაღწია სრულწლოვანებას. სსკ-ის 1240 მუხლის 1 ვარ. არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე არასრულწლოვანი აღმზრდელის გარდაცვალების დროისათვის უნდა ყოფილიყო: მთავარია, სუბიექტი არასრულწლოვნების პერიოდში იყოს ოჯახში შვილად მიღებული. თავის მხრივ, სსკ-ის 1240 მუხლის 2 ვარ., რომელიც მოთხოვნის სუბიექტად სრულწლოვანს მოიხსენიებს, ალტერნატიულ შემადგენლობას წარმოადგენს და სამართლებრივი შედეგის დასაყენებლად სკ-ის 1240 მუხლის 1 და 2 ვარ. ერთდროულად არსებობა სავალდებულო არ არის. მოსარჩელესა და აღმზრდელებს შორის არსებობდა შვილისა და მშობლის ურთიერთობა, აღნიშნული ურთიერთობის დაკანონებას ხელს არ უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ აღმზრდელებს გარდაცვალებამდე განცხადება არ ჰქონდათ შეტანილი სასამართლოში. თუ ასეთი განცხადება იქნებოდა შეტა-

ნილი სასამართლოში, მაშინ მოსარჩელე აღიარებითი სარჩელით არ მიმართავდა სასამართლოს, არამედ - უფლებამონაცვლის ჩართვით გაგრძელებოდა საქმის წარმოება სასამართლოში საერთო წესით. სიცოცხლეში აღმზრდელის ნება კონკრეტული პირის შვილად აყვანის შესახებ შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ ერთ შემთხვევაში, მან არასრულწლოვანი შვილად მიიღო ოჯახში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, - მშვილბელმა განცხადება შეიტანა სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ. აღმზრდელის ნების გამოხატვის ორივე ფორმის ერთდროულად არსებობის აუცილებლობა, როდესაც თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე ისედაც მკაფიოდ ჩანს მისი განზრახვა კონკრეტული პირის შვილებაზე, ორი შემადგენლობის კუმულატიურ წინაპირობებად მიჩნევით მტკიცების ტვირთი იმდენად დამძიმდება, რომ სამართლებრივი შედეგის დაყენება თითქმის შეუძლებელი გახდება. რაც შეეხება სრულწლოვანებას, სასამართლოს განმარტებით, შვილად ასაყვანი პირის სრულწლოვანება არ წარმოადგენს ამ ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებას.

ნინი ბერულავა